„ნაშობლო ენის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა...“

ᲛᲝᲓᲘᲠᲘ

29
შაბათი
5
ოქტომბერი
№ 113 (10506)
ფასი 5 კაპ.

Ქ. ᲭᲣᲑᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲣᲑᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1940 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘᲡᲒᲐᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ; ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲮᲜᲐᲒᲔᲑᲘ

ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი შეუქცევადი ხდება. ჩვენი საწარმოები და ორგანიზაციები მძიმედ, მტკივნეული გზების გავლით, მაგრამ მაინც ახერხებენ ცენტრალიზებული დაგეგმვის ხუნდებისაგან თავის დაღწევას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის რეალური საფუძვლების მომზადებას.

ამ მხრივ კოლექტივში არსებულ სადღეისო ვითარებაზე გვესაუბრება საკონსერვო ქარხნის დირექტორი მ. სოსელია:

ᲕᲔᲥᲘᲔᲑᲗ ᲝᲠᲢᲠᲘᲛᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲓᲔᲚᲡ

— ახლა საწარმოები პრივატიზაციის წინარე ურთულეს პერიოდს განიცდიან. რა მდგომარეობა იკვეთება ამ ეტაპზე თქვენთან?

— ამ მიმართულებით ჩვენ ხელთა გვაქვს რიგი სარეკომენდაციო მასალები, როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოდან და კონცერნ „ქართული კონსერვიდან“, ისე ქალაქის პრეფექტურიდან. საბაზისო პოზიციად იკვეთება სხვადასხვა ფორმის იჯარის პრინციპის დამკვიდრება ძირეული ქვეგანაყოფების დონეზე. ამოსავალი პუნქტი ასეთია: საამქროების, ან დამხმარე ნაგებობების გადაცემა იჯარული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მხრივ ჩვენთან ისახება რეალური შესაძლებლობა ნომერ მეორე საამქრო გადავიყვანოთ იჯარულ ფორმაზე, თვითონ კოლექტივი ფსიქოლოგიურად მზად არის ამ სტრუქტურული ცვლილების ჩასატარებლად. დამუშავდა გარკვეული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ თვისობრივად ახალ ეკონომიკურ ნორმატივებს, ანაზღაურების რეფორმისტულ სისტემას, რაც თავისი შინაგანი არსით ესადაგება ძირეული რგოლის დამოუკიდებლად ფუნქციონირებას...

საამქრო ახალი პრინციპით შეუდგება მუშაობას ოქტომბრის ბოლოსათვის. წარმოება ძირითადად იმუშავებს ციტრუსის წვენებისა და ნაყენის გამოშვებაზე. აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა არავითარ სიძნელესთან არ იქნება დაკავშირებული, გამონახულია მყიდველი ორგანიზაციები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ნაყენი გატანილი იქნება როგორც საქართველოს გარეთ, ისე შიდა ბაზარზე.

ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებისა და ხებართვის მიცემის დონეზე არის გადაწყვეტილი ჩვენს ქარხანაში შეიქმნას ზუგდიდის საკონსერვო ქარხნისა და ორულუს რძის საწარმოს ბაზაზე შედედებული რძის ნაწარმის გამოშვების საამქრო. ამჟამად ინტენსიურად წარმოებს საამქროს გამართვა იმ ვარაუდით, რომ ნოემბრის თვიდან პროდუქცია გამოვუშვათ.

— რას გვეტყოდით საწარმოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღების კუთხით მოხმობილ ღონისძიებებზე?

— მოგეხსენებათ, რომ რესპუბლიკაში ტარის საკითხი მწვავედ დგას. ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს გამოუშვას პოლიმერის ტარა-ჭურჭელი, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნება ხილ-ფაფების, მინახარშების და ჯემების პროდუქციის გამოშვებაზე. ამ დანიშნულების დანადგარმოწყობილობანი ნაშოვნია და წლის ბოლოსათვის უცილოდ გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

კოლექტივის ხელმძღვანელობა დღენიადაგ ეძიებს მშრომელთა სოციალური გარანტიების განმტკიცების გზებს. ნაპოვნია ბრიგადული ანაზღაურების ახალი ფორმა, რომელშიც დევს სამუშაოების შესრულების ახალი კოეფიციენტები და ნორმატივები, რომლებიც გულისხმობენ დამატებით მატერიალურ სტიმულებს.

წარმოების ხვალინდელი დღე ასე გვესახება: ნედლეულის მოწოდებაში არსებულ უმწვავეს პოზიციას გადაგვალახვინებს შემოთავაზებული პრივატიზაციის დებულების რეალიზაციისათვის ჩვენეული მოდელის მორგება. ეს ნიშნავს ვეძიოთ პარტნიორი, რომელიც ურთიერთ პირდაპირ კავშირებზე გასვლით შეიარაღებით მოგვიხსნის ნედლეულის მოუწოდებლობის პრობლემას.

ᲧᲡᲜᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘᲐ

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

დღეს, როცა საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილია უაღრესად მძიმე ვითარება, როცა ქართველი ხალხი რეალურად დგას სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალურ ორგანიზაციაში შემავალი აბაშის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ჯვარზენისა და მესტიის პირველადი ორგანიზაციები გმობენ და არაკანონიერად მიიჩნევენ ერის ნებით არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ დესტრუქციულ მოქმედებას.

ვდგავართ რა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გვერდით, სამოქალაქო მშვიდობის, ერის ხსნის ერთადერთ საშუალებად მიგვაჩნია ეროვნული თანხმობის მიღწევა. მხოლოდ კანონის უზენაესობაა ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი.

გვწამს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და საქართველოს ვერავინ და ვერაფერი დაღუპავს.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია.

ᲒᲕᲘᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ

ხშირად მიამაყია, რომ ქართველი ვარ. ღმერთმა ნუ ქნას ისე, რომ ამ განწყობილების გამყოფ-ნებისა ოდესმე მერიდებოდეს. მაგრამ ამჟამად შექმნილი ვითარება ღრმად მაფიქრებს. ბოლომდე ვერ გამიცნობიერებია ყოველივე ამის გამომწვევი ფაქტორები, მართლაც საოცარი ერი ვართ. ჯერაც ბოლომდე ამოუცნობი და გაუშიფრავი. რამდენი ქართველია, იმდენი ინდივიდუალისტიცაა. თანაც კონტრასტები ყოველ ნაბიჯზე. ეს არის ერი, რომელსაც ჰყავს შადიმან ბარათაშვილი, მაგრამ ჰყავს ცოტნეც. ჰყავს ბერბიჭაშვილი, მაგრამ ჰყავს დიდი ლაც. დღეს დიდ ვნებათაღელვაა საქართველოში. ქართველობა ორ ბანაკად გახლეჩილა და დაპირისპირებია ერთმანეთს. აი, რა მოგვიტანა 70-წლიანმა მონობამ, კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა. არც ახლა ცხრება იმპერიის ცენტრი. ეს მან წაუსისინა ერთმანეთს ჩვენი ხალხის ორი ფრთა. და ამას აკეთებს არსებული ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით. მაგრამ ქართული გენი მაინც სიკეთით, ღვთიური მადლით არის კოდირებული და იგი შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალს უცილოდ იპოვის.

ლ. ფარცვანია,
პედაგოგი.

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲕᲣᲭᲭᲔᲠᲗ

ამ ძნელბედობის ჟამს ყველა ჩვენთაგანი, ქალი თუ კაცი ხალხის ნებით არჩეული პარლამენტის, ჩვენი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გვერდით უნდა ვიყოთ.

რუხელთა სახელით მინდა გავაცხადო: მშრომელი ადამიანები, რომლებიც მატერიალურ დოვლათს ქმნიან, მხარს უჭერენ პარლამენტის მიერ აღებულ კურსს.

თბილისი საქართველოს გულია. რუსთაველის პროსპექტი მისი მთავარი არტერიაა. ვინც იმ დღეებში სამშენებლო მასალების ნარჩენებით ჩახერგილი პროსპექტი ნახა, არ შეიძლებოდა არ შეძრწუნებულიყო ამ სანახაობით. მდგომარეობა დღითი დღე იძაბება, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის არის, რომ ქართველი ქართველს უპირისპირდება, იარაღით მიიწევს ერთმანეთზე. ვინ გაგვიმეტა, ვინ გაყო საქართველო ორ ბანაკად. ვინ შეძლო ქართველები სამკვდრო სასიცოცხლოდ გადაეკიდებინა ერთმანეთისათვის. ის რაც ახლა საქართველოში ხდება მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა. ზუსტად იმასვე ვაკეთებთ, რაც ჩვენს მტერს უნდა. ეს რომ ასეა ჩვენზე ნაკლებად როდი იცის ოპოზიციამ. მაშ, რატომ არ უნდა გამოვნახოთ საერთო ენა, რომ მოხერხებულად შენიღბულ მტერს ერთობლივად შევუტიოთ. ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთიანობაშია.

საქართველოს ისტორიას ახსოვს მრავალი ისეთი ფაქტი, როცა ერთმანეთზე სამკვდრო სასიცოცხლოდ გადაკიდებული ფეოდალები პირად მტრობას დროებით ივიწყებდნენ და ერთ მუშტად შეკრულნი მამულის ასაოხრებლად შემოსეულ მტერს უმკლავდებოდნენ. ჩვენ რა დაგვემართა, რატომ მივიწევთ ერთმანეთის წინააღმდეგ.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორები რომ ხალხის რისხვას ვერ გაუმკლავდებიან ეს არავისთვის არ არის სადაო, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ქართველი ქართველს დაუპირისპირდა. ჩვენ, რუხელები, მზად ვართ ერთსულოვნად დავდგეთ იქ, სადაც სამშობლოს ინტერესები, ხალხის ნებით არჩეული პარლამენტის ინტერესები მოითხოვს.

ა. თოდუა,
რუხის საკრებულოს გამგებელი, ჰელსინკის კავშირის წევრი.

ᲒᲕᲘᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ

ქართველთა შორის დაპირისპირებამ კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეიწირა. ექიმმა თავი გასწირა პროტესტის ნიშნად. გია აბესაძეს სახელმა ყველა ჩვენთაგანი შეძრა, შეაღწია ყველას ოჯახში.

ეს დღეები საქართველოში დაძაბულია. ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ხალხი უდგას გვერდით. ოპოზიციონერებს შერიგებას სთავაზობს პრეზიდენტი. მაშ, რა გიშლით ხელს ნუთუ გვავიწყდება, რომ გარეშე მტრებს გულს ეუხარებთ. მათ წისქვილზე ვასხამთ წყალს.

ძვირფასო ქართველებო, ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, შეიფიქრეთ გია აბესაძის აჩრდილს, რომ შეწყვეტთ სამარცხვინო დაპირისპირებას, რომ საქართველოს მიიყვანთ სრულ თავისუფლებამდე.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ვ. ხუბუა,
რაიონული დედა

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავეობასთან ერთობლივი ბრძოლის გზით

საქართველოს რესპუბლიკაში ახალი, თავისუფალი, სამართლებრივი სახელმწიფოს შენებლობა, მოქალაქეთა ჰეშმარიტი უფლებების განმტკიცება, პიროვნების თავისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართალდამცავი ორგანოების ბრძოლისუნარიანობაზე. ისინი მოწოდებული არიან წინ აღუდგნენ ყოველგვარ უკანონობას, მკაცრად დაიცვან კანონის უზენაესობა, რათა საზოგადოების თითოეული ინდივიდის ჯანმრთელობა, სიცოცხლე, პატივი და ღირსება სიმშვიდით იქნეს დაცული ხელყოფისაგან.

ამით დაიწყო ჩვენი საუბარი ზუგდიდის სარაიონთაშორისო პროკურორთან, პირველი კლასის იურისტ კიაზო ჭანტურიასთან:

—ბატონო კიაზო, რაკი თქვენ ახალდანიშნული პროკურორი ბრძანდებით, გთხოვთ მკითხველებს წარუდგინოთ თქვენი თავი.

—დაბადებული 1951 წელს ქ. ზუგდიდში, დავამთავრე ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლა, ვმუშაობდი ზუგდიდის მეორე ჩაის ფაბრიკაში მუშად, ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდგომ წლებში ვმუშაობდი ზუგდიდის მეორე ჩაის ფაბრიკაში იურისკონსულტად, ქ. თბილისის სამგორის რაიონის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, ქ. თბილისის № 2 სახლ-მშენებელი კომბინატის გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, ქ. თბილისის სამგორის რაიონის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებლად, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, ბოლო დროს ვმუშაობდი საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორად, 1991 წლის 4 ივნისს დაგენიშნე ზუგდიდის სარაიონთაშორისო პროკურორად, მყავს მეუღლე და ერთი ვაჟიშვილი.

—როგორია განვლილი 8 თვის მონაკვეთში დამნაშავეობის სტატისტიკა ჩვენთან?

—მიმდინარე წლის 8 თვეში ჩვენი ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 469 დანაშაული, რაც 64 ერთეულით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს. დროის ამ მონაკვეთში საგრძნობლად იმატა ყაჩაღობამ, პირადი ქონების ძარცვამ, პირადი ქონების ქურდობამ, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვამ, სახელმწიფო ქონების ქურდობამ, ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებამ, სახელმწიფო ქონების ყაჩაღობით დატაცებამ და ა. შ. საგულისხმოა ის აქსიომაც, რომ დანაშაულის ზრდის საპირისპიროდ დაეცა მისი გახსნის კოეფიციენტი. სისხლის სამართლის ხაზით რეგისტრირებული 338 დანაშაულიდან გახსნილია 213 ფაქტი.

—გამომდინარე თქვენი სიტყვებიდან სჩანს, რომ ოპერატიული ვითარება ჩვენთან, თავის ზენიტშია. რით შეიძლება თავი დავაღწიოთ ამ მდგომარეობას?

—რაოქმა უნდა ეს რთული კითხვაა, აქ საჭიროა საქმისადმი კომპლექსური მიდგომა, ჩემის აზრით მთავარია ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა მხრიდან მუშაობის სტილისა და მეთოდების რადიკალური გარდაქმნა, პროფესიონალური დონის ამაღლება და საქმისადმი თავდადება, საზოგადოების პოზიციის მკვეთრი შემობრუნება პირით ჩვენსაკენ, რადგან მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იჩენს აქტიურობას დამნაშავეთა სამყაროს მოსასპობად, მთელი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გვეჭირდება ჩვენ მათი მხარდაჭერა და თანადგომა. ამ მიზნით აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოებისა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩატეხილი ხიდის აღდგენა.

საჭიროა, რეალური სახე მიეცეს სახალხო რაზმელების საქმიანობას, მათ საზოგადოებრივ აქტივთან ერთად მაქსიმალურად უნდა გამოაშკარავონ ყველა სახის დანაშაულობანი, და, არა ისე, როგორც ეს კეთდებოდა ფორმალურად წლების განმავლობაში. საზოგადოება უნდა დაგვეხმაროს მოსახლეობაში მიმოფანტული ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებაში, თუ არადა, მათი მსხვერპლი შესაძლებელია გახდეს თითოეული ჩვენთაგანის ახლობელი თუ ნათესავი.

—რა მიგაჩნიათ პრიორიტეტულ მიმართულებად პროკურატურის საქმიანობაში?

—პირველყოვლისა კანონების შესრულებაზე სათანადო, საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება ყველა სფეროში.

—რას გვეტყვით კანონიერების დაცვის მდგომარეობაზე თვით ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში?

—ჩვენი უპირველესი მიზანია კანონიერების დაცვა, თუ ამას ვერ მივაღწიეთ საკუთარი ძალებით, ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე, მაშინ ყოველგვარი მოწოდება კანონების განუხრელი დაცვისთვის ფუჭია და ამაო. ჯერ კიდევ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში ალაგ-ალაგ ვხვდებით კანონიერების დარღვევის უმნიშვნელო ფაქტებს, რაც ჩვენი მხრიდან ხდება პრინციპული მსჯელობის საგნად, ამ გზადან ჩვენ არ გადავუხვევთ, რაც დადასტურდება მომავალში პრაქტიკული ნაბიჯებით.

—ამ ახალ ვითარებაში კადრების შეცვლა ყველაზე ნაკლებად თითქოს პროკურატურის სისტემას შეეხო. რას გვეტყვით ამის თაობაზე. როგორია ადგილობრივი პროკურატურის კადრების მზადყოფნა თავისუფალი საქართველოს წინაშე, დასმული სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის?

—პროკურატურის სისტემაში კადრების უმრავლესობა მართლაც შეიცვალა, ოღონ გარკვეულწილად დაეტყო მის მუშაკთა მზადყოფნას თავისუფალ საქართველოს წინაშე დასმულ სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად აღებულ გზს. დღეისათვის ზუგდიდის საარაონთაშორისო პროკურატურა დაკომპლექტებულია ჯანსაღი კადრებით. გეყავს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული დონის ამაღლება, ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რათა ახალგაზრდა სპეციალისტები უმოკლეს დროში გავხადოთ მაღალკვალიფიცირებულ მუშაკებად.

—ბალზაკი ამბობდა, რომ ხანგრძლივად პატიოსნება არ არსებობს—იგი ან გაქვს, ან არა, მაგრამ ჩვენი წარსულის სინამდვილის გათვალისწინებით, ჩემის აზრით, შეიძლება, მესამე საზომის—შედარებითი პატიოსნების ხმარებაც. თქვენც იმ უძრაობის წლებიდან მოდიხართ. ვფიქრობ, მაშინ შეუძლებელი იყო პროკურატურის მუშაკებს, ახე ვთქვათ, სუფთად ემუშავათ (ერთეულების გარდა), რომელი საზომით შეაფასებდით თქვენს მუშაობას დღევანდელი გადასახედიდან?

—მე მიმაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში მოქმედებენ ყველა პირი უნდა იყოს უღალატო და პატიოსანი, არავითარ შემთხვევაში არ ღალატობს კანონის ფეხქვეშ გათელვა, იღვაწოს ჩვენი საერთო ეროვნული ინტერესებისათვის, დაკმაყოფილოს პირადი ინტერესები, იცხოვრობს და ემსახუროს ხალხის კეთილდღეობის საქმეს. რადგან სწორედ „პირადიდან" მოედინება ერის ზნეობრივი მანკიერების მტვრევნაკადი, რომელშიც სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი ოქროს თევზსაც ოსტატურად იჭერს. კარზე მოგვაკაკუნა იმ დრომ, როცა ყველამ ერთად, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა დავძლიოთ ეგოიზმი, გულგრილობა, თანამემამულეთა გაუტანლობა. და ჩვენივე მომავედინებელი მოძღვრება, თითოეულისა ცალ-ცალკე, თუ მე არ გიქნია, ქვა-ქვაზედ ნუ იქნებაო.

ესაუბრა თამაზ რობაგა.

პოლიტიკოსის პროგნოზი

რანაირი კარიერა ელის გორბაჩოვს?

ამ კითხვით მიმართა „ლიტერატურნაია გაზეტას" პარიზელმა კორესპონდენტმა საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ვალერი ჟისკარ დესტენს.

აი, რა პასუხი გასცა ამ უკანასკნელმა დასმულ კითხვას:

მომავალში კავშირის პრეზიდენტს უცილოდ დემოკრატიული წესით სრულიად სახალხო კენჭისყრით აირჩევენ. ამდაგვარი არჩევნების საბოლოო შედეგები განპირობებული იქნება უამრავი ფაქტორით. უპირველეს ყოვლისა იგი დამოკიდებული იქნება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. არ არის დასამალი, რომ გარდაქმნის პერიოდი თქვენთვის არ ქცეულა სამოთხის ხანად. და ასეთ კითარებაში გორბაჩოვს უცილოდ ძალზე გაუჭირდება ხალხის ნდობის აღდგენა.

არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ გორბაჩოვმა თავადაც თავი აარიდოს აღნიშნულ პროცედურას, რაც მისთვის ერთობ მტკივნეული იქნება. შესაძლოა თქვენს პრეზიდენტს სხვანაირი ამბიციებიც აქვს, დავუშვათ, საზღვარგარეთელი. რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მას, ენერგიულ, მომხიბვლელ და საქმიან კაცს პრეზიდენტობის მანდატის ვადის გასვლის შემდეგ არ გაუჩნდეს დიდი საერთაშორისო კარიერის გაკეთების სურვილი?

—დავუშვათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათავეში მოხვედრისა?

—რატომაც არა. მას ხომ საკმაოდ გააჩნია საერთაშორისო ავტორიტეტი.

ჟ. პრივალოვი.

„ლიტერატურნაია გაზეტა" 11 სექტემბერი, 1991 წელი.

თვალსაზრისი

რას გვაძლევს კატეგორიები?

კაცთა კავშირი არაა ერთობა, აქ ყოველ შემთხვევაში, ესაა ერთობა, რომელიც განსხვავებას არ გამორიცხავს. მე დღეს მასწავლებელთა ერთობის სახელით ვწერ რა, ბუნებრივია, ეს ერთობაც არ გამორიცხავს განსხვავებულ აზრს.

უკვე რამდენიმე თვეა სკოლებში მოვიდა განათლების სამინისტროს დებულება მასწავლებელთათვის კატეგორიების მინიჭების თაობაზე. პოდა, დაიწყო ვნებათაღელვა პედაგოგიურ საზოგადოებაში. დაიწყო თითის ქნევა: ნუ გგონიათ ბევრნი ხართ კარგი პედაგოგები, ასეთები გამონაკლისნი ირიაონ.

საკითხავია, გის შეუძლია შექმნას უცდომელი კრიტერიუმი მასწავლებელთა პროფესიული დონის შესაფასებლად? განა ცოდნა, ლოგიკა, ზნეობა, ნიჭი რაიმე კონკრეტული ნიშნით შეიძლება შეფასდეს?... მაგრამ ყველაზე სამწუხარო მაინც ისაა, რომ ეს დებულება გახდა მასწავლებელთა დამცირებისა და დაშინების კიდევ ერთი საფუძველი.

იცით, რა მოთხოვნებია მაღალი კატეგორიების მისანიჭებლად დებულებაში?—იბღვირება ზოგიერთი სკოლის დირექტორი და მე ისეთ დირექტორს ვაღიარებ, რომელიც ჩემზე და სხვებზე მაღლა დგას ინტელექტით, ცოდნით, ზნეობით.

ამ ლიქებში განათლების განყოფილებაში დაიბარეს პირველ ხანს სკოლებში ძველ, დროშოკმდულ პრაქტიკას ვგავს, ოღონდ უფრო მახინჯად ჩატარებულს. ასეთი სურათია დაახლოებით: რომელიმე საბჭოური ორდენი — უმაღლეს კატეგორიას, უბრალო მედლები—პირველ კატეგორიას. სამკერდე ნიშნები —მეორე კატეგორიას.

თავისი მოთხოვნებით ეს არის კადრების წახალისების ძველებური ფორმები. შეიცვალა გარეგნული ფორმა, უცვლელი დარჩა შინაარსი.

მე კარგა ხანია, უარი განვაცხადე ყოველგვარ კატეგორიაზე, რადგან ასე მწამს: ამგვარი ხარისხები ამცირებს მასწავლებელს, უკარგავს მას ინდივიდუალურ სახეს. თავისუფლება ქმნის თავისუფლებას, მეტ თავისუფლებას. მეტი თავისუფლება—მეტ თავისუფალ შრომას. ეს უკანასკნელი კი მაღალი შედეგების მიღების უცდომელი გარანტია.

მზია ლაბაძე,
ქალაქის პირველი საშუალო სკოლის სიტყვიერების მასწავლებელი.

ღმერთო, უმრავლე!

ამასწინათ ჩემი ახლობლის ქორწილს ვესწრებოდი. წესიერ ოჯახში აღზრდილმა ახალგაზრდა სპეციალისტმა ოჯახი შექმნა. მართალია, საქართველოში ამჟამად არსებული ვითარების ფონზე ლხინის განწყობილებას ძნელად შეიქმნი კაცი. მაგრამ ცხოვრება მაინც თავისას ითხოვს. რაც არ უნდა შეჭირვებული ყოფა ჰქონდეს ჩვენებურ კაცს, ქორწილის, სიცოცხლისადმი ტრფიალების რეფლექსი არ ჩაუქრება.

ახლაც ასე მინდა იყოს. მინდა რაც შეიძლება მოკლე დროში გაიფანტოს ჩემს მამულში გაუგებრობის ბურუსი და ლაგამაწყვეტილი პოლიტიკური ვნებათაღელვა ეროვნული ზავით დამთავრდეს.

ღმერთმა უმრავლოს ჩემს ხალხს სიყვარული, ქორწილები, ძეობები.

ირაკლი ჯალაღონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაი—91

იქ, სადაც ყველაფერი ილონეს...

ამ ძნელბედობის ჟამს, როცა ქართველმა ხელი აღმართა ქართველზე და მიმდინარეობს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტისადმი ოპოზიციონერთა დაპირისპირება, ზუგდიდის რაიონის მეჩაიე მშრომელები იღწვიან ეროვნული სიმდიდრის— ჩაის ნედლეულის უდანაკარგოდ აღებისათვის. იქ, სადაც აგროწესების მიხედვით დამუშავდა პლანტაციები და ორგანიზებულად მიმდინარეობდა კრეფა 27 სექტემბრისათვის შეასრულეს პროგნოზით გათვალისწინებული დავალება.

რაიონში დამზადებულია 53000 ტონა ჩაის ფოთოლი.

პროგნოზით ნავარაუდევი ნედლეულის მაქსიმუმი მიიღეს რიგმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.

ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის მეჩაიე მშრომელებმა, მექანიზატორებმა 110 პროცენტით შეასრულეს პროგნოზი. 1320 ტონის ნაცვლად დამზადებულია 1450 ტონა ნედლეული. ახალკახათელებმა 855 ტონის მაგიერ დაამზადეს 870 ტონა, კორცხელელებმა 1470 ტონის მაგიერ 1500, რიყელებმა 1650 ტონის მაგიერ მრეწველობას მიყიდეს 1735 ტონა, შამგონელებმა გათვალისწინებული 945 ტონა. ზედაეწერის მეურნეობის კოლექტივმა 4880 ტონის ნაცვლად დაამზადა 5120 ტონა, ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატმა 3850 ტონა, რაც საგრძნობლად სჭარბობს ნავარაუდევს.

პროგნოზის ფარგლებს უახლოვდებიან ინგირის, ნაცატუს, ნარაზენის, ჩხორიის, ჯიხაშკარის კოლმეურნეობები, ხეცერის, ორსანტიის მეურნეობები.

კრეფა წარმატებით გრძელდება.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ გეოთერმიული წყლები

გეოთერმიული ანუ ბუნებრივი ცხელი წყლების რესურსების მხრივ ზუგდიდის რაიონს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რესპუბლიკაში. მისი გარკვეული ნაწილი დიდი ხანია ადამიანის სამსახურში არის ჩაყენებული. მაგრამ დანარჩენი დიდი რაოდენობით იღვრება უშედეგოდ. ახლა, როცა მწვავედ განვიცდით ენერგეტიკულ კრიზისს და ნურსათის დეფიციტს, ბუნებისაგან მომადლებული ეს სიმდიდრე მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საქმეში. ამის განხორციელება არ არის ძნელი თუ კი იქნება სათანადო მონდომება და პასუხისმგებლობა ერის წინაშე.

რაიონში არსებული გეოთერმიული წყლები ძირითადად მინერალიზებულია და შეიცავს გაზებს. ამიტომ მისი გამოყენება მილგაყვანილობის მეშვეობით გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ ასეთი წყლები, როგორიცაა მაგალითად ცაიში, ჰაერთან შეხებისას გამოყოფს ნალექს. ამიტომ სატრანსპორტო მაგისტრალი და მთელი გამთბობი სისტემა აუცილებელია იყოს ჰერმეტიული. ამასთან დაკავშირებით მილგაყვანილობის ოდნავი დაზიანებაც კი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ლიკვიდირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰაერის ჟანგბადის წყალთან შეხებით გამოყოფილი ნალექი თხელ ხარჩულად ეკვრება მილს და ამცირებს სითბოს გამოყოფას. თუ ასეთი შეხების პროცესი გაგრძელდა, მილი თანდათან ივსება ნალექით და სითბოს გამოცემაც შესაბამისად კლებულობს.

მილგაყვანილობის დაზიანების გარდა გამთბობ სისტემაში ჰაერის შეღწევა ხდება აგრეთვე ურდულებიდან და ვინტილებიდან. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას მათზე შალითის მოწყობით და შიგ ნახმარი ზეთის მოთავსებით. ამ შემთხვევაში გარდა იმისა, რომ გარანტირებულია ურდულებისა და ვენტილების ჰერმეტიზაცია, ერთი-ორად იზრდება მათი ექსპლოატაციის ხანგრძლივობა.

რაც შეეხება საჰაერო საცობებს, მათი წარმოქმნა დამოკიდებულია წყალში არსებული გაზების მოცულობაზე, მილგაყვანილობის სიგრძეზე და გამთბობ სისტემაში შექმნილ წნევაზე. რაც მეტია წყალში გაზები, და გრძელია გამთბობი მილები, მით მეტია საჰაერო საცობები. ამასთან წნევის გადიდება იწვევს საცობების შემცირებას.

ჩვეულებრივ პირობებში სათბური თბება საქვაბის მეშვეობით. იმისათვის, რომ სათბურში ჰაერის ტემპერატურამ არ დაიწიოს 18 გრადუსზე დაბლა, როცა გარეთ უკიდურესად დაბალია ტემპერატურა, საქვაბიდან უნდა გამოდიოდეს 90 გრადუსიანი წყალი, სათბურში ის დაკარგავს დაახლოებით 30 გრადუსს, 70 გრადუსიანი უბრუნდება საქვაბეს 90 გრადუსამდე გასაცხელებლად და ისევ სათბურში შესასვლელად. ასე, რომ ამ შემთხვევაში შეკრულია წრედი.

სულ სხვაა ბუნებრივი ცხელი წყლებით სათბურისა და სხვა საკულტივაციო ნაგებობების გათბობის პრინციპი. აქ სითბომატარებელი წყლის წრებრუნვა კი არ ხდება, არამედ ის ერთი მიმართულებით მიედინება და თანდათანობით კარგავს სითბოს, სანამ არ გაუტოლდება ჰაერის ტემპერატურას. ამის შემდეგ მისი გამოყენება გასათბობად აღარ იძლევა ეფექტს.

რაც მეტია წყლის ტემპერატურა, მით მეტია სასარგებლო სითბოს რაოდენობა და პირიქით. მაგალითად 100 გრადუსიანი წყალი სათბურში ტოვებს დაახლოებით 25-35 გრადუსს და გარეთ გამოდის 65-75 გრადუსიანი წყალი. ამ შემთხვევაში, თუ გამთბობი სისტემა არსებული თბოტექნიკური პარამეტრების მიხედვით მოეწყობა, შესაძლებელია ზამთრის განმავლობაში სათბურის იმ დონეზე გათბობა, რომ წარმოებული იქნეს კიტრისა და პამიდორის პროდუქცია.

80 გრადუსიანი წყლის გამოყენებისას სათბურიდან გამოდის დაახლოებით 55-65 გრადუსიანი წყალი. ამ შემთხვევაში გამოყოფილი სითბო არ ეყოფა კიტრის მცენარის ზრდა-განვითარებას. რაც შეეხება პამიდორს შეიძლება მოყვანილი იქნას მცენარის ზრდა-განვითარების რამოდენიმე შეფერხებით. ჩადგან კრიტიკულ მომენტში გაჰირდება ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. გარდა ამისა აღარ გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე შეიძლება ყველა ბოსტნეული კულტურის მოყვანა.

60 გრადუსიანი წყალი სათბურებს ვერ გაათბობს ზამთარში. მისი გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ პოლიმერული ფირის თერმულ სათბურკვლებში. ამ შემთხვევაში თებერვლიდან დეკემბრამდე მოიყვანება კიტრი, პამიდორი და სხვა დანარჩენი ბოსტნეული. ხოლო ზამთარში მწვანილეული და პირუტყვისათვის მწვანე საკვები. ყოველივე ეს წარმოებული იქნება კონვეირული წესით მთელი წლის განმავლობაში.

თერმიული სათბურკვალი წარმოადგენს 40 სანტიმეტრი სიღრმის, 150 სანტიმეტრი სიგანის და ნებისმიერი სიგრძის ღარს, რომლის დამზადება შეიძლება ადგილზე ბეტონის ჩასხმით (კედლის სისქე 6-10 სანტიმეტრი). გამოიყენება აგრეთვე რკინა-ბეტონის, აზოცემენტის, პლასტმასის და კოროზია გამძლე ლითონის ღარი. მონტაჟის დროს ყველა შემთხვევაში ღარის გვერდების ზედაპირი ნიადაგის ზედაპირიდან აწეული უნდა იქნეს 5-8 სანტიმეტრით.

ღარი, ფუძის პარალელურად არის გატიხრული 5-8 სმ სიმაღლეზე სპეციალური ტიხრით, რომელზედაც მოთავსებულია მცენარის მკვებავი გრუნტი (მიწის, ნაკელის, ტორფის და ნახერხის ნაზავი). მასზე ითესება ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ღარის ტიხრის ქვეშ იქმნება დახურული გამთბობი არხი. მასში შედის და ღარის მთელ სიგრძეზე მიედინება თერმიული წყალი, რომელიც ათბობს ტიხარზე მოთავსებულ გრუნტს. ღარს ზემოდან უკეთდება 160 სიგანის და 80 სანტიმეტრი სიმაღლის რკალები, რომელზედაც ეფარება 100-200 მიკრონის სისქის პოლიეთილენის ფირი. იგი ორივე მხარეზე იხდება სიჭიროების მიხედვით. თესვის დაწყებამდე 2-3 დღით ადრე გამთბობ არხში გაშვებული უნდა იქნეს 25 გრადუსზე მეტი ტემპერატურის მქონე წყალი, ეს იქნება ჰაბურღილიდან თუ სათბურიდან გამოსული, განელებული. ამ ტექნოლოგიით იწოვება მეორადი თერმიული წყალი, რომელიც ამჟამად იღვრება უშედეგოდ. მომხმარებელი კი ფულს იხდის ყოველ კუბურ მეტრ წყალში.

სათბურკვლის გამთბობ არხში შესული წყლის რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია წყლისა და გარე ჰაერის ტემპერატურაზე, აგრეთვე მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებაზე. გამთბობ არხში გამდინარე წყალი თანდათანობით კარგავს სითბოს. როცა ის ჩანელდება 25 გრადუსამდე, აღარ გამოიყენება გასათბობად. ამ დროს მას გავლილი აქვს რამდენიმე ათეული და ზოგჯერ ასეული მეტრიც კი თერმიული სათბურკვლის გამთბობი არხი.

თერმიული სათბურკვალი გამოიცადა ხორგაში, მეღორეობის ფერმიდან გამოსული 50-60 გრადუსიანი წყლის გამოყენებით და მიღებულია დადებითი შედეგი. ასეთ სათბურკვლებში კონვეირული წესით მოიყვანება, როგორც ბოსტნეული, ისე მწვანე საკვები. მაგალითად ზამთრის განმავლობაში მხალ-მწვანილეული ან მწვანე საკვები პირუტყვისათვის, ხოლო ადრე გაზაფხულიდან გვიან ზამთრამდე კიტრი, პამიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა და სხვა. ასე, რომ თერმიული სათბურკვლებით შესაძლებელია, როგორც მეორადი (სათბურიდან გამოსული), ისე დაბალტემპერატურიანი ჰაბურღილის წყლის მაქსიმალური გამოყენება. თუ კი ეს ღონისძიება გატარდება და უშედეგოდ არ დაიღვრება არცერთი კუბური მეტრი თერმიული წყალი, რაიონი არამარტო გააუმჯობესებს ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მთელი წლის განმავლობაში ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგებისა და ზამთარში ფრინველ-პირუტყვის მწვანე საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

იმ პირებს, კოოპერატივებს და საზოგადო მეურნეობებს, რომლებსაც სურთ ბუნებრივი ცხელი წყლების გამოყენებასა და სათბურთან დაკავშირებულ ყოველგვარ საკითხებზე მაღალკვალიფიციური კონსულტაციები, აგრეთვე ადგილზე პრაქტიკული დახმარების გაწევა, შეუძლიათ პირადად ან წერილობით მიაკითხონ სამეცნიერო საწარმოო კოოპერატივ „სათბურს“, მისამართზე: 383400, მცხეთა, წეროვანი, მიწათმოქმედების ინსტიტუტის დასახლება, ა. [illegible] ძის ბინა.

ალექსანდრე სარ[illegible]ძე,
საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის მებოსტნეობის განყოფილების გამგე.

ა. ბ. რაფავა

ქართველ პედაგოგიურ აზროვნებას, ქართველ ინტელიგენციას გამოაკლდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ანტიპა ბაგრატის ძე რაფავა.

ათეულობით წლების მანძილზე იგი ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს.

მოუქანცავი, კაცისა და ღმერთის წინაშე პირნათელი კაცი, მაღალი ზნეობისა და კაცობის მატარებელი, საკუთარი ენერგიისა და გამოცდილების უშურველად გამღები— აი, ვინ იყო ანტიპა რაფავა. მასზე თამამად შეიძლება ითქვას: „ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა“.

ანტიპა რაფავა დაიბადა 1909 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში.

თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების დამთავრებისთანავე იგი ზუგდიდში შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო საშუალო სკოლის მასწავლებელი. მუშაობდა სატყეო სასწავლებელში, ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ კი— დირექტორად. იყო ზუგდიდის საშუალო სკოლის დირექტორი, პედაგოგიური ტექნიკუმის მათემატიკის მასწავლებელი. პარალელურად მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორად.

1938 წლიდან ა. რაფავა პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. სოხუმში. იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ დირექტორის მოადგილე ოაუსწრებელი სწავლების ხაზით.

1959 წლიდან ბოლომდე ანტიპა რაფავა მუშაობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ დაუსწრებელი განყოფილების, შემდეგ კი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

დოცენტი ა. რაფავა ავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, რამდენი ასპირანტი, მეცნიერების კანდიდატი თუ დოქტორი ზიარებია მეცნიერებას, რომელთა ხელმძღვანელი თუ კონსულტანტი, რეცენზენტი თუ ოფიციალური ოპონენტი ბატონი ანტიპა იყო!

სამეცნიერო მოღვაწეობას ა. რაფავა დაუზარებლად უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას.

ოჯახი, აი ის ფენომენი, რომლისკენაც მიაპყრობდა ჩვენს ყურადღებას ბატონი ანტიპა. თვით ტრადიციული ოჯახის შვილი, ერთგული მეუღლე და უსათნოესი მამა —სხვებსაც ტრადიციული ქართული ოჯახის სიმტკიცეს, ძალასა და სიკეთეს უქადაგებდა, თავად იყო ამ ტრადიციების ბრწყინვალე განმასახიერებელი და ამიტომაც ცდილობდა ახალგაზრდობის გონის, ზნეობისა და ნების მაღალინტელექტუალური, ზნეობრივი საზოგადოებისათვის საჭირო კალაპოტით წარმართვას.

წავიდა ჩვენგან უხაკო პედაგოგი, უფაქიზესი ადამიანი, დიდი კაცური ღირსებით და სისადავით გამორჩეული პიროვნება.

დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა, დიდი სიკეთე.

მსუბუქი ყოფილიყოს ბატონი ანტიპასათვის მისი მშობლიური მიწა.

ამხანაგების ჯგუფი.

შ.ო. ხარებავა

გარდაიცვალა აღრიცხვის დარგის ჩინებული მუშაკი, ყულიშკარის კოლმეურნეობის ყოფილი მთავარი ბუღალტერი შოთა ორესტის ძე ხარებავა.

იგი ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1948 წლიდან მუშაობს სოფელ ყულიშკარში ჯერ მთავარი ბუღალტრის მოადგილედ. შემდგომ 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ამავე კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტრად.

შოთა ხარებავას აღრიცხვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

სოფელი უკანასკნელ გზაზე აცილებს თავის საყვარელ შვილს, მრავალი თაობის აღმზრდელსა და მოამაგეს.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ამხანაგების ჯგუფი.

ვიყოთ გულმოწყალენი

დავეხმაროთ მოყვასს

ზუგდიდის სავაჭრო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომელს ვახტანგ შალვას ძე ჯღერიას ყავს მძიმე ავადმყოფი შვილი თინგიზ ჯღერია, დიაგნოზით —ბავშვთა ცერებრალური დამბლა. საქართველოში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის რიგ სამედიცინო ცენტრებში მკურნალობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ავადმყოფი საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასაც სჭირდება დიდი ოდენობით ფულადი სახსრები. ოჯახს არ გააჩნია საამისო საშუალება.

ძვირფასო თანამემამულენო! გთხოვთ, ამჯერადაც გამოიჩინოთ გულმოწყალება, მოყვასის გასაჭირისადმი თანალმობა. ვისაც გსურთ ფულადი დახმარება გაუწიოთ ავადმყოფ ახალგაზრდას თინგიზ ჯღერიას, გაცნობებთ, რომ მის სახელზე აგრომრეწვბანკის ზუგდიდის განყოფილებაში გახსნილია ანგარიში №70043.

ღმერთი გფარავდეთ ქველმოქმედებისათვის.

საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების ხელმძღვანელებს და კერძო პირების საყურადღებოდ!

ზუგდიდის „ინფორმატიკის“ ცენტრთან არსებული კოოპერატივი „ალგორითმი“ გთავაზობთ:

გასამრავლებელ მანქანა „რანკ-ქსეროქ“-ზე და ლაზერულ სებეჭდზე შრიფტების თქვენთვის სასურველ გარნიტურებსა და ზომებს: ორიგინალური დიზაინით ფირმის ემბლემის, ინდივიდუალური სავიზიტო ბარათებისა და ნებისმიერი ტიპის ბლანკების მომზადებას ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. საბუთების ზუსტი ასლის გადაღებას, რომელიც არ საჭიროებს ნოტარიუსის დამტკიცებას, მაღალი საიმედოობის, მარტივი მოხმარების, უმაღლესი ხარისხისა და ხელმისაწვდომი ფასების გარანტიას.

მიმართეთ კოოპერატივ „ალგორითმს“, მომსახურებით თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №1. ტელეფონი 2-32-88.

მეუღლე ეკი. შვილი გოგონა, და მადონა, ძმა ირაკლი, შვილიშვილები: თეა. ნათია, სიძეები: ბადური ჩარგაზია, შოთა კვარაცხელია, გოდერძი შამათავა, ანზორ ღურწკაია, რძლები: თალიკო. ქეთინო, მზახლები: თალიკო. როდიონი ჩარგაზიები, ძმისშვილები: გოგი, ნონა, გენადი იზორიები, დისშვილები: ანა. ზურაბ კვარაცხელიები. მულები ეკატერინა, ეენერა, ლიანა. ციასანა. ნარგიზა, გულნარა ჭანტურიები, მაზლები: ვანიჩა, ვახტანგი, ბორისი. ზურაბ ჭანტურიები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ნათელა ივგენის ასულ იზორია-ჭანტურიას

გარდაცვალების. პანაშვიდი 5 ოქტომბერს. ოასაოთავება 6 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ერისთავის ქ. 22-დან.

ზუგდიდის სასამართლოს, იურიდიული კონსულტაციის, პროკურატურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ალიკო დოლიანს მამის

გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე კოკი. შვილი გოგონა, და მადონა, ძმა ირაკლი, შვილიშვილები: თეა. ნათია, სიძეები: ბადური ჩარგაზია, შოთა კვარაცხელია, გოდერძი შამათავა, ანზორ ღურწკაია, რძლები: თალიკო. ქეთინო, მზახლები: თალიკო. როდიონი ჩარგაზიები, ძმისშვილები: გოგი, ნონა, გენადი იზორიები, დისშვილები: ანა. ზურაბ კვარაცხელიები. მულები ეკატერინა, ეენერა, ლიანა. ციასანა. ნარგიზა, გულნარა ჭანტურიები, მაზლები: ვანიჩა, ვახტანგი, ბორისი. ზურაბ ჭანტურიები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ნათელა ივგენის ასულ იზორია-ჭანტურიას

გარდაცვალების. პანაშვიდი 5 ოქტომბერს. ოასაოთავება 6 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ერისთავის ქ. 22-დან.

მეუღლე ფეხული. შვილები: თემური. დალი. ირმა. შვილიშვილები: გიგა, დათო, თათია, ძმები: არონი. ლუკა. გიგლა. მაზლი ქორეი ჯაბეა. მული ნათელა. რძლები: ლიანა. გული, ნანა, ნუნუ. ნანი. შურა. სიძე რაინდი ხასაია. ძმისშვილები: მამუკა. ზაზა. თეა. ლევანი. მაზლიშვილები: კლარა, რობა. მარინე. მანანა. ლონდა, ხათუნა. ნანა. მულიშვილები: ფატიმა. ნონა. თენგიზი. მურმანი. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

მედეა ვასილის ასულ ჭედია-ჯაბუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7 ოქტომბერს. დაკრძალვა 8 ოქტომბერს 5 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, ენგელსის 99.

ყულიშკარის წარმგებელი, კოლმეურნეობის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კოლმეურნეობის ყოფილი მთავარი ბუღალტერი

შოთა ორესტის ძე ხარებავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აკაკი გობეჩიას ხსოვნას

სააღრიცხვო - ეკონომიკური დარგის მუშაკებს გამოაკლდა ჩინებული სპეციალისტი, შრომის ვეტერანი აკაკი გაძეს ძე გობეჩია.

ამ ამაგდარმა ადამიანმა განვლო კეთილსინდისიერი შრომის გზა, რომელიც დაიწყო 1940 წელს ზუგდიდის საფინანსო განყოფილებაში. თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ახალგაზდა სპეციალისტმა სისტემის დაბალი საფეხურიდან თავისი გულმოდგინებითა და პროფესიული კომპეტენციით მიაღწია გარკვეულ საპასუხისმგებლო თანამდებობებს. სხვადასხვა დროს უმსახურია ზუგდიდის საფინანსო განყოფილების გამგედ, საქართველოს სატყეო მეურნეობის მუშათა მომარაგების საფინანსო განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე საქმიანობდა იგი დღემდე.

კოლექტივი დიდად აფასებდა ამ წესიერ, დიდსულოვან და კულტურულ პიროვნებას. მასში ხედავდა ახალგაზრდების ნამდვილ მოამაგეს, დიდი გამოცდილების, უღალატო ბუნების ინტელიგენტს.

ამ კეთილი კაცის ხსოვნა დიდხანს შემორჩება ჩვენს გულებს.

მრავალდარგოვანი სამრეწველო-სავაჭრო საიჯარო ფირმა „მეტყევეს“ კოლექტივი.

მეუღლე მანია. შვილები ლუიზა, გიული, ალიკო. მიმოზა. და ლუკიანე, ძმები: ქოჩო. ოთარი, რძლები: ზინა. ჯულიეტა, ლეილა. მანანა, ზინა. სიძეები როლანდი ნაჭუეია, გენადი ქიქავა, იური ახალაია, შვილიშვილები: ლაშა, მირანდა, თამუნა, ლიკა. რუსლანი, ლევანი, სალომე, ბიძაკორეი, ბიცოლა თამარა. დეიდა ხიმური. ცოლისძმა ვახტანგი, ცოლისდები: მარუსია, ლუნა. ნათელა, ქალისლები ვალოდია ჯიქია, ლუსიანე შანავა, ძმისშვილები: ციცო, იზო. ნუგზარი, რუსიკო, მარინა, ტიტო. ნარგიზა, ნინო, ალიკა, ოთარი. მირანდა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (ქუქულია) ალექსანდრეს ძე დადიანი

პანაშვიდი 5 ოქტომბერს. დაკრძალვა 6 ოქტომბერს. გამოსვენება წერეთლის 119-დან.

მეუღლე თინა ჭილაია, შვილები: მაია, ზაზა. შვილიშვილი სალომე ბოჟაძე, დები: ნორა, ნუცა, ძმა ვალოდია კვარაცხელია, სიძეები: დავითი ბოჟაძე, ვალოდია ქაქუთია, აკაკი ლაგვილავა, რეზო ქარჩავა. ცოლისძმები: ხუტა ჭილაია, გოგი კუპრეიშვილი, რძლები: მერი მიტრეველი, ლალი კუტალაძე, ზაირა ერანგია, ხათუნა ჯგერენაია, ძმისშვილები: მანანა, დავით კვარაცხელიები, დისშვილები: ფატიმა ქაქუთია, თამაზ, გოჩა ლაგვილავები, მზახლები: იზოლდა, შოთა ბოჟაძეები, ბიძაშვილები ვანიჩა. ეთერი. ნათელა რაფავები ოჯახებით იუწყებიან

ამირან (ღულუნი) ივანეს ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5 ოქტომბერს. დაკრძალვა 6 ოქტომბერს 17 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 152.

მეუღლე აგრაფინა. შვილები: ბორისი, გიგლა. ძმა ვალერიანი. რძლები: თამარა ემილიანეკო, და ლი კვარაცხელია, ქსენია ქორიძე, ბელა ფუაბელია, ძმისშვილები: თერიდე. ლუიზა, შალვა. შვილიშვილი ანა. სიძე სულხან ნანობაშვილი, ცოლისდა, ცოლისძმები ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

შოთა ორესტის ძე ხარებავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5 ოქტომბერს. დაკრძალვა 6 ოქტომბერს სოფ. ყულიშკარში.

ბოტანიკური ბაღის კოლექტივი თანაუგრძნობს გიული დადიანს მამის

გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანის

გარდაცვალების გამო.

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების ძირითადი შემადგენლობა თანაგრძნობას უცხადებენ ციზარ გობეჩიას მამის

აკაკი გაძეს ძე გობეჩიას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვალენტინა, შვილები: ალარა. დინარა, სიძეები რადიმა როგავა. გულადი ჭურღულია, შვილიშვილები თენგიზი, თეა ჭურღულიები, ილია როგავა. რძლები: მარგო, ელენე. ძმისშვილები: კოტე, ციალა, გონელი, ჯუმბერი, ნონუ ალანიები. დისშვილები: გენო, ლამარა ყოლბაიები, ბიძაშვილი ვენია ქობალია, მაზლი ვიროამი შოხაძე, მაზლიშვილები: ბიბეკო. ლადო, კლარა შოხაძეები, გენო კიტია. მოლები: ბუცუკი, ოოსია კიტიები. მულიშვილები: ბორისი. გენო, ზოია ყუოონიები, ვლადიმერი, თინიკო ანთიები ოიუწყებიან

აბრამ დაიოის ძე ალანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6 ოქტომბერს. დაკრძალვა 8 ოქტომბერს სოფ. ჯორცხელში.

მეუღლე ლუიზა. შვილი ზერაბი. ძმა ვალა, და ნათელა, სიძე მეგონა კვარაცხელია, ძმისშვილები: ნატო, მადონა, მურმანი, დისშვილები ნონა, ბესიკი, ჯამბული კვარაცხელიები, დეიდა ლიზა სიეზინავა, ცოლისძმა ზურაბ ჩიქავა. ცოლისდა ნარგიზა ჩხეტიანი. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ვაჟა მაკარის ძე ჩახაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7 ოქტომბერს. დაკრძალვა 8 ოქტომბერს სოფელ ახალთში.

მეუღლე ინგური, დედა კატო, შვილები ინგა, ლიკა. ილუშა. გია. დები: ანტისა. ვენერა, ლამარა, ტანია, ძმები: მამია, ხუტა, პალიკო. რძლები: ნონა კვარაცხელია, ნანული ბასარია. მიმოზა ხოჭოლავა, მზია გვარამია, დინარა დგებუაძე, ნათელა თოლორაია, სიძეები ტარიელ აბრალავა. ზაზა მუხიგულაშვილი. ჯოტო გეგეჭორი. ვალოდია ჩხეტია. კაპიტონ დამიანი, ალოშა ქირია. მულები: ნათელა, ზოია, ნუნუ. მაზლები: ალო. ალრო. ლუსიანე. შვილიშვილები: ლევანი. ინგური. ციცა, თემური. ვია. ნინო. ოისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

მოკონა (ვალოდია) აგუმავა-ჩახაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6. 7 ოქტომბერს. დაკრძალვა 8 ოქტომბერს სოფელ ახალთში.

აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია თანაუგრძნობს ნათელა მინჯრალიას ღელის

ჩათა ბადოს ასულ ჯგუშია-დარასელიას

გარდაცვალების გამო.

ქ. ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს ნორა კვარაცხელიას ძმის

ამირან ივანეს ძე კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.

გამოსათხოვარი

როგორი დაუნდობელი ყოფილა ბედისწერა. უკურნებელმა სენმა უდროოდ, ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის ასაკში წაგვართვა შენი თაკი, ლადო. გული დაგვიკოდა შენმა სიკვდილმა. ვინ იცის, რამდენი ოცნება და მიზანი დაგრჩა აუსრულებელი.

ენით უთქმელია ის, რასაც განვიცდით შენი თანაკლასელები. ყველას გვიყვარდი და ამიტომაც ვერაფრით ვერ შეგრიგებივართ ამ ქვეყნიდან შენს წასვლას.

შენ ხომ ძალიან ცოტა ხანს, მაგრამ წმინდა და კეთილი გრძნობით იცხოვრე. მართალი და უპრეტენზიო მიდიხარ. დაგვიტოვე ცრემლი და გულის ტკივილი. ვფიცავართ შენს სპეტაკ სახელს, რომ არ დავივიწყებთ შენს კეთილ გულსა და ალალ მეგობრობას და მუდამ იცოცხლებ შენი თანაკლასელების ხსოვნაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ლადო ბარქაია! შენი ლამაზი სული და მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, რომელმაც სამუდამოდ უნდა მიიბაროს შენი სპეტაკი სხეული.

ქალაქის №11 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

რედაქტორი
აკ. ბანგურია

შვილები: მზია, ომარი. ნანული. ლია. სვეტლანა, და იუდენი, ცოლისძმა იონა ლიპარტია, რძლები: ინეზა ნარსია, ლოლა ქარდავა, შვილიშვილები: ბესიკი, პაპუნა ღურწკაიები, მანანა. ბადრი, ნანა. კახა სართანიები, ირინე, თემური, თამაზი აგირბაიები, კოსტია, ფათო შეროზიები, სიძეები: ვინგერ სართანია, რევაზ აგირბაია, თემურ. შეროზია, ძმისშვილები. დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ია ფახლოესი ნათესავები იუწყებიან

ბაჯგუ გერასიმეს ძე ღურწკაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6. 7 ოქტომბერს. დაკრძალვა 8 ოქტომბერს 17 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ჯანო რაფავას ქ. 10-დან.

მეუღლე დონია, დები: დუნია. გუგუშა. შვილები გურამი- დონარი, იამზე, რძალი ჯულიეტა კონჯარია, სიძეები ივანე ჯოლოხავა. ვალიკო ღორწკაია, ივანიჩა კუპრავა, დაზმერი ბამახარია, ცოლისა ანეტა ჩანგელია, შვილიშვილები მადონა. მამუკა. მალხაზი კუპრავები. ხათუნა, ფამუნა, თორნიკე ერეზაიები, ია ადონა. ირმა, ნია გამახარიები. დისშვილები: ანზორი, თალიკო ჯოლოხავები, ველოდი, ტიტიკო, რამაზ ხუნჯგურიები, თემური, ანზორი ღურწკაიები. ბიძაშვილები: ვარო. რაისა, ეთერი. არჩიკო. გრიშა. ნაზია, ნათელა, ლიანა კერზაიები ალალონ ნაჭუეია, დეიდაშვილი ოლია ალთინიძე, მამიდაშვილები: ნაპო. შამილი ზაქარაიები, ოჩელი ლაზარია, ახლო ნათესავები იუწყებიან

ორესტი ალექსის ძე კერზაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7. 8. 9 ოქტომბერს. დაკრძალვა 10 ოქტომბერს სოფ. დარჩელში.

ზუგდიდის №6 ბავშვთა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ინგა ჩახაიას დედის

მოკონას

გარდაცვალების გამო.

ინდექსი 11507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. №6. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-22-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლისმეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-06.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №4490